საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ერეთოს ჩანჩქერი

ერეთოს ჩანჩქერი, ჩანჩქერი აღმოსავლეთ საქართველოში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, მდ. ერეთოსწყალზე (მთიულეთის არაგვის მარჯვ. შენაკადი), ყელის ვულკ. ზეგნის სამხრ.-აღმ. კიდეზე, ზ. დ. 2300 მ სიმაღლეზე. მდ. ერეთოსწყალი იწყება ყელის ზეგნის იმ ნაწილში, რ-საც არაგვისთავი ეწოდება. მისი სათავეებია მძლავრი წყაროები. მდინარე თავდაპირველად წყნარად გაედინება ლავური პლატოს ზედაპირზე, შემდეგ – ტროგულ ხეობაში მიედინება და მეფისკალოს ლავური ნაკადის აღმ. კიდეზე ჩანჩქერად ეშვება. ჩანჩქერის სიმაღლეა 45 მ, მოჩანს საქართველოს სამხ. გზიდან (შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში”).